ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," გამგეობის და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.
გამგეობის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 132 ერთეულით, საიდანაც დასაქმებულია 127, ხოლო 17 მუშაკი აყვანილია შრომითი ხელშეკრულებით. ყველა მუშაკი დანიშნულია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

ადმინისტრაციული სამსახური დაყოფილია: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების, იურიდიულ, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექქნიკური უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილებებად, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში შემოდიან მრჩევლები გენდერულ და სოფლის მეურნეობის საკითხებში და მიმაჩნია, რომ მათი მუშაობა პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ჩართული ვართ ელექტრონულ საქმისწარმოებაში, რომელიც წარმატებულად მიმდინარეობს. დღემდე შემოსულია 6603 კორესპოდენცია მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა -5105. ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 1160 ბრძანება, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის-253 განკარგულება.

გამგეობის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „სააჯრო სამსაურის შესახებ" საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებთან ვაფორმებთ შრომით ხელშეკრულებებს, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხლშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით შექმნილია მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებ და ფეისბუქ გვერდები, მიმდინარე წელს განხორციელდა ვებ გვერდის რებრედინგი და ახლახანს განახლებული დიზაინითა და მისამართით kharagauli.gov.ge შევიდა ექსპლუატაციაში. ვებ გვერდის ახალი ვერსია გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტურია. საიტი არის ე.წ. რესპონსივი, რაც ნიშნავს, რომ ინტერნეტის მომხმარებლებისთვის უფრო ხელსაყრელი და ადვილად მოხმარებადია. ვებ გვერდის ახალ ვერსიაში ინფორმაციები უფრო მოკლედ, კონკრეტულად და მკაფიოდაა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალური - კულტურულ, სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ვზრუნავთ საზოგადოების სისტემატურ ინფორმირებაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით.

ვაშუქებთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის სამსახურების, არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობას, საჯაროს ვხდით და ვებ გვერდზე ვანთავსებთ „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს. ავღნიშნავთ, რომ სოციალური მედიის საშუალებით მუდმივ კავშირში ვართ საზოგადოებასთან, ვიღებთ სხვადასხვა სახის კითხვებს და შესაბამისი კომპეტენციის პირებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ ვცემთ პასუხს.

ვმონაწილეობთ ხარაგაულში დაგეგმილი ოფიციალური და მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზებაში, ვამზადებთ პრეს-რელიზს. ვაწვდით ინფორმაციებს სხვადასხვა მედია-საშუალებებს, მათ შორის ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებს.

აქტიურად ვთანამშრომლობთ იმრეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე ვაზიარებთ იმერეთის მასშტაბით მიმდინარე პროექტებს.

ამ დროისათვის ვებ გვერდს www.kharagauli.ge 1 755 185 ნახვა აქვს, აქედან უნიკალური ვიზიტორია 97 359. ერთი თვის საშუალო ნახვები 54 179-ია. მათ შორისაა 5 236 უნიკალური ვიზიტორი.

წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ პიროვნებების იდენტიფიცირებას , აგრეთვე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთების იდენტურობას; ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე ამზადებს ინფორმაციებს.

- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის სამოქალაქო რეესტრს განვლილ პერიოდში გადაეგზავნა პირის გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი 18 ოქმი;

-იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა დაქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს

ხარაგაულის რაიონულ სამმართველოს მათი მოთხოვნის საფუძველზე მოქალაქეთა ცნობა-დახასიათა 13 ცალი;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია: პიროვნების იდენტურობაზე - 24; მიწის ნაკვეთის იდენტურობაზე -2356; ამონარიდები საგადასახადო სიებიდან - 49

იურიდიული განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად მიმდინარეობს სამართლებრივი კონსულტაციები. განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში და ხდება აღნიშნული კომისიის საქმისწარმოების მასალების მომზადება (სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, საკუთრების უფლების მოწმობები).ასევე მიმდინარეობს მუშაობა გენდერულ საკითხებშიც.

მათ მიერ შეთანხმებული იქნა გამგეობის სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული ადმინისტრაციული აქტების პროექტები. მომზადდა მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების, საკრებულოს დადგენილების და განკარგულების პროექტები,შესაგებლები და სარჩელები როგორც ადმინისტრაციულ ასევე სამოქალაქო საქმეებზე, მერიაში ვაკანტურ პოზიციების დასაკავებლად საკონკურსო მასალები.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების რეორგანიზაციის დოკუმენტაცია, წესდებებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტის და წესდების პროექტები.

ხდება მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სხვადასხვა-ინსტანციის სასამართლოებში. იანვრიდან დღემდე შედგა სამი სასამართლო პროცსი და დასრულდა მუნიციპაიტეტის სასარგებლოთ, ამჟამად წარმოებაშია და მიმდინარეობს 2 სასამართლო დავა.

მერიაში დასაქმებუთა გენდერული ბალანსი ასე გამოიყურება:

კაცი 79,

ქალი 64,

სამსახურის უფროსი 2, განყოფილების უფროსი 6,

თანამდებობის პირო კაცი 10.

რაც შეეხება გენდერულ საკითხებში ჩვენს მონაწილეობას, სამუშაო აღწერილობის მიხედვით აღნიშნული საქმიანობა უშუალოდაა დაკავშირებული გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტივობების დაგეგმვასთან და მის განხორციელებაში აქტიურ თანამონაწილეობასთან, რომლის მთავარი მიმართულებაა საბჭოს წევრების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ახლო კომუნიკაცია საზოგადოებასთან, სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან, ქალთა საჭიროებების კვლევა, მეტი კომუკიაცია არსამათავრობო ორგანიზაციებთან, საამისოდ კი ჩატარდა შეხვედრა-სემინარები: ფონდი ,,სოხუმის“ წარმოამდგენლებთან გენდერული ბიუჯეტირების თემაზე, მარტოხელა მშობლებთან იურიდიულ საკითხებზე, მოწვეული იქნა შინაგანა საქმეთა სამინისტროს პროექტი ,,შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ მოსწავლეთათვის, ,,დაავადებათა კონტროლისა

და საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამმართველოს“ ექიმთა ჯგუფის მიერ უფასო სამედიცინო სახის შემოწმება ჩაუტარდათ მინიციპალიტეტის მასშტაბით სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ 200 პედაგოგს და 180 ბავშვს. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქალები ქვეყნის მომავლისთვის“ ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად ახორციელებს პროექტს ,,გენდერული თანასწორობის საბჭოები და გარემოსდაცვითი ინიციატივები“.

სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) ხელშეკრულების პროექტი საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესრულების შესყიდვაზე, მუნიციპალიტეტის სახელით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იტვირთება http://www.procurement.gov.ge/სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ყველა ატვირთულ ხელშეკრულებაზე, ასევე იტვირთება პერიოდულად ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა და არსებობის შემთხვევაში სხვა დოკუმენტაციები. განყოფილების მიერ, ეტაპობრივად ხდება შესყიდული საქონლის და გაწეული მომსახურეობის შესახებ განაწილების უწყისების წარმოება და გადაეცემა შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნული განყოფილება სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ყოველთვიურად წარუდგენს ანგარიშს **ctd.spa.ge** სისტემის საშუალებით და ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების რეკომენდაციებს.

დღემდე გამოცხადებულია 62 (სამოცდაორი) ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი მათ შორის შემდგარია 30, არშემდგარი 22 და უარყოფითად დასრულებული 8 ხოლო შეწყვეტილი 2.

კახაბერ გოლუბიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი